ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 20-96

"30" დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის , საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-80 მუხლისა და 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 221-ე მუხლის, 239-ე მუხლის მე-14 და 44-ე ნაწილების, 240-ე და 266-ე მუხლების, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის, საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" 25-ე მუხლის შესაბამისად,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 150-ე, 150^1, 151-ე, 152-ე, 152^2, 153^4, 159-ე, 159^1, 173^5 მუხლებითა და საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნაწილში საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების დარღვევებზე სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება აქვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებს;

2. დამტკიცდეს:

ა) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის" ფორმა (დანართი 1).

ბ) „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი" (დანართი 2);

გ) საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად შემოწმების აქტის ფორმა (დანართი 3). ობიექტის შემოწმების და შემოწმების აქტის შედგენის უფლება აქვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებს;

დ) საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევისკოდექსი" 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მითითების ფორმა (დანართი 4). მითითების გაცემის უფლება აქვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველ მოადგილეს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეებს, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

ე) საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევისკოდექსი" 25-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად უწყების ფორმა საქმის განხილვის თაობაზე (დანართი 5);

ვ) დათვალიერების ოქმის ფორმა (დანართი 6);

ზ) საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს „შემოწმების აქტის'' ფორმა (დანართი 7).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2012 წლის 6 ივლისი №16 ბრძანება.

4. „ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2012 წლის 6 ივლისი №16 ბრძანების საფუძველზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება განხორციელდეს „ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2012 წლის 6 ივლისი №16 ბრძანების მეორე პუნქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად 2015 წლის 1 სექტემბრამდე.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი
№

_____ _____ 20 წ. _____

ოქმის შედგენის თარიღი ოქმის შედგენის ადგილი

1. მე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის

_____

თანამდებობა, სახელი, მამის სახელი, გვარი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე და 240-ე მუხლების შესაბამისად, შევადგინე აღნიშნული ოქმი იმის თაობაზე, რომ

_____

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

_____

სამართალდამრღვევი სუბიექტის სრული დასახელება (დამკვეთი, შემსრულებელი)

_____

სამართალდამრღვევი სუბიექტის იურიდიული მისამართი

_____

სამართალდარღვევის შინაარსი:

_____

_____

_____

_____

_____

რაც გათვალისწინებულია _____

მიეთითოს კანონის შესაბამისი მუხლი

_____

2. აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევი პირის,

_____

თანამდებობა, სახელი, გვარი

ახსნა-განმარტება:

_____

_____

3. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები:

მე, _____

სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს:

„ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის

თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე,"
რასაც ვადასტურებ ხელმოწერით _____

4. ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ

ხელმოწერებით: _____

ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა

_____

სამართალდამრღვევი პირის ხელმოწერა

ოქმს გავეცანით :

ა) მოწმე(ები) (არსებობის შემთხვევაში):

_____	_____
სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის მოწმობის №, ხელმოწერა
_____	_____
სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის მოწმობის №, ხელმოწერა

ბ) დაზარალებულ(ებ)ი:

_____	_____
სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის მოწმობის №, ხელმოწერა
_____	_____
სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის მოწმობის №, ხელმოწერა

5. ოქმის ასლი ჩავაბარე:

_____	_____
სამართალდამრღვევის სახელი, გვარი	მისამართი, პირადობის მოწმობის №, ხელმოწერა

შენიშვნა: ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს, სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს თავის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები:

_____

დამკვეთი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესის და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების საფუძველზე.

2. აღნიშნული წესის მიზანია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და მისი აღრიცხვა-წარმოების დარეგულირება.

მუხლი 2

1. პოლიგრაფიული საწარმო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ახდენს მკაცრი აღრიცხვის ფორმის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის სტამბური წესით ბეჭდვას.

2. პოლიგრაფიული საწარმოს მიერ სტამბური წესით დაბეჭდილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ჩაბარების უფლება აქვს მინდობილობით აღჭურვილ პირს.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს მიღება-გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ინახავს დაზიანებისა და გარეშე პირთაგან სათანადოდ დაცულ სათავსში.

მუხლი 3

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი მოსამსახურე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 150-ე, 150^1, 151-ე, 152-ე, 152^2, 153^4, 159-ე, 159^1 და 173^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, ასევე საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნაწილში საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების სამართალდარღვევებზე.

მუხლი 4

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიღება, აღრიცხვა, შენახვა და გაცემა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად. ოქმის მიღებისა და გაცემის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. ჟურნალი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების დანართი №2-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოუყენებელი და გაფუჭებული ოქმები ბარდება მათ მიღება-გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, რის შესახებაც ჟურნალში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. ოქმის გაფუჭებისა ან/და დაზიანების შემთხვევაში მოსამსახურე ოქმს თან ურთავს ახსნა-განმარტებით ბარათს, რაზეც დგება სათანადო აქტი.

5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მოსამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სხვა თანდართული მასალები აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების აღრიცხვის ჟურნალში.

6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების აღრიცხვის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული.

ჟურნალი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს (დანაყოფებს): 1. რიგითი №; 2. ოქმის №; 3. დამრღვევის გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი; 4. დარღვევის მოკლე შინაარსი და თარიღი; 5.

ოქმის შემდგენის თანამდებობა სახელი, მამის სახელი, გვარი; 6. კანონის შესაბამისი მუხლი; 7. საქმის განმხილველი თანამდებობის, პირის სახელი, მამის სახელი, გვარი ან ქვემდებარეობით გადაგზავნის № და თარიღი; 8. საქმის განხილვის თარიღი; 9. მიღებული დადგენილების მოკლე შინაარსი და №; 10. ინფორმაცია დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებით; 11. მასალების კანცელარიაში ჩაბარების თარიღი, მიმღების ხელმოწერა; 12. მიღებული დადგენილების სასამართლოში ან/და სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნის № და თარიღი; 13. შენიშვნა.

მუხლი 5

1. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესის და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და წინამდებარე წესის დამრღვევი პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 6

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნაწილში საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების დარღვევებზე (შედგენილ ოქმებზე) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, 15 დღის ვადაში, განიხილავს სასამართლო.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი №
შედგენის თარიღი: ——————

მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

მითითება გაცემული იყო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' —————— მუხლის —————— ნაწილის—— პუნქტით.

გათვალისწინებული დარღვევის გამოსასწორებლად.

შემოწმების აქტი დგება——————————————————————

გაცემული №——————————მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: ——————————————

——————————————————————————————

ობიექტის დასახელება და მისამართი: ——————————————

——————————————————————————————შემოწმების მომენტში

მშენებლობის ეტაპი: ——————————————————

——————————————————————————————

შემოწმებით დადგინდა:

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

——————————————————————————————

რითაც დგინდება, რომ:

ა) მითითება შესრულდა;

ბ) მითითება არ შესრულდა;

გ) მითითება არადროულად სრულდება.

შემოწმების აქტის საფუძველზე, თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;

ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;

გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-9 ნაწილი);

თუ დარღვევა გამოსწორებულია, საქმის განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხველი გარემოებები, პროექტის შემთანხმებელმა და მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ ან არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის'' კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-11 ნაწილი)

თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა აღმოფხვრილ იქნა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ხოლო სამართალდარღვევაზე დაწყებული წარმოება უნდა შეწყდეს („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის'' კოდექსის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი);

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

_____

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____

_____

_____

_____

თუ ვერ ხერხდება დადგენილებაში მითითებული მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

_____

_____—განთავსების თარიღი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160 შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

მ ი თ ი თ ე ბ ა №

შედგენის თარიღი————————

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო დამრღვევის მიმართ სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი);

მითითება წარმოადგენს ტექნიკური და სამშენებლო ინსპექციის ან სამშენებლო საქმიანობაზე სხვა სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამრღვევის მიმართ გაცემულ შენიშვნას, განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს მასში აღნიშნული პირობები სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსასწორებლად.

დამრღვევის დასახელება და მისამართი ————————————————————
——

ობიექტის დასახელება და მისამართი————————————————
——

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი ————————————
——
——
————————————————————————————————————

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები
——
——
——

შემოწმების აქტის საფუძველზე თუ აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ; ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე უნებართვო მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ; გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-9 ნაწილი);

სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: ა) დარღვევები გამოსწორებულია და მითითება შესრულდა; ბ) განხილვისას გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევის გამომრიცხავი გარემოებები; გ) შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ობიექტის ლეგალიზების შესახებ; დ) არ არსებობს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის'' კოდექსის 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

_____

_____

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

_____

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

მიწერილობა გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

_____

განთავსების თარიღი

უ წ ყ ე ბ ა №

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" კოდექსით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევის საფუძველზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, დაბარებული ხართ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტიწს მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

დამრღვევის დასახელება და მისამართი –

ობიექტის დასახელება და მისამართი –

საქმის განხილვის თარიღი –

საქმის განხილვის ადგილი –

საქმის განხილვის დრო –

საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა –

უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ პირს.

პირი, რომელსაც ჩაბარდა უწყება –

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის უწყების გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება უწყებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე.

გაფრთხილებთ, რომ მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

სამსახურის უფროსი

უწყების განთავსების თარიღი _____

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 378501, 378396

დათვალიერების ოქმი

_____ _____

შედგენის თარიღი მისამართი

შემდგენი პირები:

_____

_____

დათვალიერების საფუძველი:

შემოსული წერილი N თარიღი _____

ცხელი ხაზი N თარიღი _____

აშკარა დარღვევა _____

დასათვალიერებელი ობიექტის:

მესაკუთრე _____

მშენებელი _____

დამკვეთი _____

სხვა _____

დასათვალიერებელი ობიექტის ზუსტი აღწერა და პარამეტრები:

_____

_____

_____

სამართალდარღვევა სამშენებლო საქმიანობაში:

სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა;

უნებართვო მშენებლობა, რეკონსტრუქცია ან დემონტაჟი;

ობიექტზე საინფორმაციო დაფის განუთავსებლობა ან დაფაზე არასრული ინფორმაციის განთავსება;

უსაფრთხოების ღობის ან/და დამცავი ბადის დარღვევით განთავსება ან განუთავსებლობა;

მშენებარე ობიექტის დადგენილი წესის დარღვევით მიტოვება;

მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობა;

მშენებლობის უსაფრთხოების ნორმების დარღვევა;

შენობა-ნაგებობის მწვავე ავარიულობა;

ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

დაინტერესებული პირის

ხელმოწერა _____

შემდგენის ხელმოწერა _____

_____

ფოტოდანართი (რაოდენობა) _____"

დანართი 7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი. 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი №

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: _____

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი:_____

_____

_____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

_____

_____

შემოწმებით დადგინდა: _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი'' 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

_____

_____

_____

განთავსების თარიღი

განმარტებითი ბარათი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ახალ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან" (შემდგომში - კოდექსი) შესაბამისობაში მოყვანით, ვინაიდან კოდექსის 165-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოებს დაევალათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ორგანულ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით მტკიცდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 150-ე, 150^1, 151-ე, 152-ე, 152^2, 153^4, 159-ე, 159^1, 173^5 მუხლებითა და საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ნაწილში საარჩევნო პლაკატების უკანონოდ ჩამოხსნის, ჩამოხევის, დაფარვის ან დაზიანების დარღვევებზე „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის'' ფორმა. აღნიშნულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენის უფლება პროექტის თანახმად მიენიჭებათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებს;

პროექტით განისაზღვრება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი''; საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად შემოწმების აქტის ფორმა. ობიექტის შემოწმების და შემოწმების აქტის შედგენის უფლება მიენიჭებათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებს.

პროექტით ასევე მტკიცდება, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევისკოდექსი" 25-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად უწყების ფორმა საქმის განხილვის თაობაზე; დათვალიერების ოქმის ფორმა; საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს „შემოწმების აქტის'' ფორმა და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევისკოდექსი" 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მითითების ფორმა . მითითების გაცემის უფლება მიენიჭებათ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველ მოადგილეს და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეებს, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

გ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება გავლენას იქონიებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. პროექტის მიღება ფინანსურ გავლენას მოახდენს იმ პირებზე, რომლებიც მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

დ) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ე) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.